საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის მომსახურეობის შესყიდვის
საკონკურსო განცხადება

(CPV-7132000O)

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

დაბა ქედა

საკონკურსო განცხადება

1ქედის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2.კონკურსის მიზანია:

დაბა ქედაში სასმელი წყლის სარეზერვო აუზის (500მ ^{3} მოვულობის) მშენებლობის და წყალსადენის ქსელზე მიერთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

3.გამარჯვებულმა კონკურსანტ დასრულებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს აღნიშნულ დოკუმენტაციაზე **ექსპერტიზის დასკვნა,** რომლის ღირებულებაც ანაზღაურებული იქნება გამარჯვებული კონკურსანტის მიერ.

4. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7000 (შვიდიათასი) ლარს დ.ღ.გ. ჩათვლით.

(შენიშვნა იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არ არის დღგ-ს გადამხდელი , საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე.)

5. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერზე (http://procurement.gov.ge)

6 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

9. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

10 კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 18 თებერვალს 15 საათზე. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 18 თებერვალს 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე დ.ქედა, მ. კოსტავას ქუჩა #3.

11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

12. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

•ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ ბოლო სამი წლის განმავლობაში რაზედაც უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების ქსეროასლები.

•ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ.

•საკონკურსო წინადადების ფასი.

•რეკვიზიტები.

13. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი საკონკურსო წინადადება, ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

14. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 7000 ლარს დ.ღ.გ. ჩათვლით არ განიხილება.

15. გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა, მოხდება ქულებით შეფასების სისტემით:

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.

• კონკურსატის გამოცდილება -0.4

•საკონკურსო წინადადების ფასი-0.4

•ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ-0.2

16.კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკრსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 40 დღეში დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები.

19. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლიარად ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვოდოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს. ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს P SHP ფაილში ან `ავტოკადში~.

20. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

21. დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს `ტექნიური დავალებით~ მოთხოვნილ მონაცემებს.

22. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი მისამართზე: დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ. #3,

საკონტაქტო პირი თამაზ აბულაძე ტელ: 599851288

ტექნიკური დავალება

საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია იმდაგვარად უნდა იქნას შედგენილი, რომ სამუშაოების ღირებულება არ აღემატებოდეს 228000 ლარს. სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაში არ შედის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება

საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას:

სიტუაციური გეგმა მ 1:2000ან 1:500.

განმარტებითი ბარათი.

ტოპოგეგმა.

განივი და გრძივი ჭრილები (კვანძების ტიპიური ჭრილები მ 1:500)

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ექსპერტიზის ღირებულება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები,დღგ-ს ჩათვლით.

ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული უნდა იქნას ხარჯები ტექნიკური ზედამხედველობისათვის.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტების შესაბამისად.

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

დ. ქედა -2014 წელი

ხელშეკრულების პროექტი

ერთის მხრივ ქედის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ბადრი დიასამიძის სახით და მეორეს მხრივ,_____(შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი---------სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში –ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. სახარჯთღრიცხვო-საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობის შესყიდვა

1.2 კლასიფიკატორის კოდი -71320000

3. ხელშეკრულების ღირებულება

4.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---------- ლარს,

4.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

<u>4.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:</u>

4.1.1 უზრუნველყოს მისთვის გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

<u>4.2 „შემსყიდველი" უფლებამოსილია :</u>

4.2.1. „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში.

4.2.2. „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4.2.3. თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება.

4.2.4. „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

<u>4.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:</u>

4.3.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და ვადაში გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება.

4.3.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს" წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

4.3.3. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან.

4.3.4. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

4.3.5. დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

4.3.6. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს" შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

<u>4.4. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია</u>:

4.4.1. „შემსყიდველისგან" მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი მომსახურეობის გაწევაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან

6. მომსახურების მიწოდების პირობები

6.1 მომსახურება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ----------.

6.2 მიწოდების ადგილია დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ.#3

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის თანამშრომლები.

7.2.შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება სრულად მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საბოლოო შემოწმების შემდეგ.

8. ანგარიშსწორება

8.1 შემსყიდველი მიმწოდებელს მომსახურების ღირებულებას აუნაზღაურებს, უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8.2 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- წერილობითი მოთხოვნა
- ანგარიშ-ფაქტურა (სპეცანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედდებული)

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

9.2 მიმწოდებელი, მშენებლობის დროს ხარჯთაღრიცხვაში, პროექტში ან ნახაზებში შეცდომების ან ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია საკუთარი ხარჯით შეცვალოს ხარჯთაღრიცხვა, პროექტი ან ნახაზები.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით,

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს შესაბამისი მომსახურება ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობებისშეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ---------- .

19. სხვა პირობები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი”:	„მიმწოდებელი”:
ქედის მუნიციპალიტეტი მისამართი: დ. ქედა, მ. კოსტავას ქ. №3 საბანკო რეკვიზიტი: ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ქედის ფილიალი; ბანკის კოდი LBRTGE22 ა.ა .GE66LB0120111389440000; საიდ. კოდი №246762061 საკრებულოს თავჯდომარე ბ. დიასამიძე	